EU-GEORGIA BUSINESS COUNCIL

EU-Georgia Business Council
ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო

40-38 Kobuleti Street, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: +995 (32) 2 90 36 91 • E-mail: secretariat@eugbc.net • www.eugbc.net

4 თებერვალი, 2021 წ.
1/ 04-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

ქალბატონო თამილა,

გაცნობებთ, რომ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) წევრ კომპანიას „უნივერს ბიზნეს გრუპ“-ს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მხარდაჭერით აქვს გახსნილი ქარხანა, სადაც ხდება სხვადასხვა ტიპის ლითონის ნაკეთობების, მათ შორის ხარაჩოების წარმოება.

„უნივერს ბიზნეს გრუპ“-ის ინფორმაციით, წარმოების პროცესში სრულად არის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 477 დადგენილებით დამტკიცებული „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს წარმოების სერტიფიცირების პროცედურები ISO-9001 მიღებაზე.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ბატონ ბექა ფერიძის მიერ „უნივერს ბიზნეს გრუპ“-ის სახელზე 2020 წლის 7 დეკემბერს გაგზავნილ N 01/16018 წერილში (თან ერთვის) დაფიქსირებულია, რომ **„... რომელიმე ქარხანა-დამამზადებლის სერტიფიცირება ან/და რომელიმე სპეციალისტის კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა შრომის ინსპექციის კომპეტენციაში არ შედის“.**

მიუხედავად ზემოხსენებულისა, შრომის ინსპექციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ პერმანენტულად ხდება „უნივერს ბიზნეს გრუპ“-ის პროდუქციის მომხარებლების გაფრთხილება/დაჯარიმება (შესაბამისი ოქმები თან ერთვის) იმ მიზეზით, რომ ეს პროდუქცია არ არის ქარხნულად წარმოებული.

მოგმართვათ თხოვნთ, გაითვალისწინოთ ზემოხსენებული ფაქტები და გვაცნობოთ, თუ რა ტიპის ქმედები უნდა განსახორციელოს ან რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს „უნივერს ბიზნეს გრუპ“-მა, რათა მოხდეს მის მიერ წარმოებული პროდუქციის ქარხნულად აღიარება.

ვითარების გარკვევამდე, მოგმართავთ თხოვნით რათა შეჩერებულ იქნას შრომის ინსპექტირების დეპარამენტის თანამშრომლეთა მიერ დაუსაბუთებელი დაჯარიმებები, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს კოვიდ 19 -ის პანდემიიდან გამომდინარე ქვეყნისათვის ამ მეტად რთულ პერიოდში დასაქმებული ადამიანების სამუშაო ადგილების შენარჩუნებას.

დანართი: ტექსტის თანახმად.

პატივისცემით,

ზვიად ჭუმბურიძე, ელჩი
გენერალური მდივანი